ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4569799

ნომერი: AR1690438

თარიღი : 27.06.2019

გაცემის თარიღი : 02.07.2019

გაცნობის თარიღი : 02.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. კოსტავას , N 70 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- ვაჟა ფშაველას 23 ბ 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  დემონტაჟი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, მ. კოსტავას ქ. № 70-ში, შპს "დი და ჯი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკნსტრუქციო სამუშაოების (ფასადზე არსებული პანელების დემონტაჟს და მის ნაცვლად ვიტრინების, შესასვლელი კარის ღიობებს მოწყობას, ფასადის მოპირკეთებას, სახურავზე განათების მოწყობას) განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნე¬ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882019433022 17.06.2019 წ., საკადასტრო კოდი № 01.10.13.031.021; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ესკიზური ნახაზები, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, მ. კოსტავას ქ. № 70-ში, შპს "დი და ჯი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკნსტრუქციო სამუშაოების (ფასადზე არსებული პანელების დემონტაჟს და მის ნაცვლად ვიტრინების, შესასვლელი კარის ღიობებს მოწყობას, ფასადის მოპირკეთებას, სახურავზე განათების მოწყობას) განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ:

- იმ შემთხვევაში თუ, განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული ნახაზები.
- უზრუნველყოფილ იქნას ვიტრინების კონსტრუქციული მდგრადობა

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge